

შპს „ელ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად 2019, 2020 და 2021 წლის
31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის და 2021 წლის
მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	11
6. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები.....	11
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12
8. ძირითადი საშუალებები	12
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
10. საგადასახადო აქტივი	13
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	13
12. კაპიტალი	14
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
14. პირობითი ვალდებულებები	14
15. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	15
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	15

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	17
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	17
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	18
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	18
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	18
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	18
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ელ ჯორჯიას“ მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ელ ჯორჯიას“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2018, 2019, 2020 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღებით დამთავრებული წლების სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს „ელ ჯორჯიას“ თანდართულ ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ალტერნატიული პროცედურებით მარაგების ფიზიკურ არსებობასა და კონდიციას. შესაბამისად, ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან მიმართებაში, ასევე ვერ განგვესაზღვრეთ პოტენციური უზუსტობის ეფექტი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირდაპირ დანახარჯებთან.

ჩვენ ვერ შევძელით მესამე მხარისგან დასტურის წერილებით და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთების სისრულესა და სიზუსტეზე 2021, 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განგვესაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ საგადასახადო აქტივის/(საგადასახადო ვალდებულების), შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე არსებულ, გადამხდელთა პირად საგადასახადო ბარათის მონაცემებთან რეკონსილაციის შედეგად გამოვლენილ სხვაობებზე და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ნაშთების სისწორეზე 2021, 2020, 2019, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განგვესაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა ძირითადი საშუალებების შესყიდვისა და რეალიზაციის დოკუმენტაცია, ვერც სხვა ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების სისწორესთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განგვესაზღვრეთ ფინანსურ ანგარიშგებაში აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა. ასეთი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 55,093 ლარს, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 186,813 ლარს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 25,443 ლარს, ხოლო 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 236,532 ლარს.

სამშენებლო კონტრაქტებიდან აღიარებულ შემოსავლებზე, ჩვენ ვერ მივიღეთ შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებული პირველადი დოკუმენტაციის ნაწილი. ამონაგები რაზეც ჩვენ ვერ მოვიპოვეთ პირველადი დოკუმენტაცია 2021 წელს შეადგენდა 751,333 ლარს, 2019 წელს 586,278 ლარს ხოლო 2018 წელს 4,011,084 ლარს. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის შემოსავალთან და ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან მიმართებაში.

კომპანიამ ვერ მოგვაწოდა შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯების პირველადი დოკუმენტაციის ნაწილი, რაც საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით შეადგენს: 2021 წელს 265,859 ლარს, 2020 წელს 989,708 ლარს, 2019 წელს 176,298 ლარს, ხოლო 2018 წელს 9,427,364 ლარს.

კომპანიამ ვერ მოგვაწოდა ადმინისტრაციული ხარჯების პირველადი დოკუმენტაციის ნაწილი, რაც საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით შეადგენს: 2021 წელს 99,407 ლარს, 2020 წელს 11,863 ლარს, 2019 წელს 291,207 ლარს, ხოლო 2018 წელს 1,899,021 ლარს.

როგორც ეს მოცემულია მე-3 შენიშვნაში კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება და იმ შემთხვევაში როდესაც, შედეგების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში შედეგების მეთოდის გამოყენებით. ობიექტზე გაწეული დანახარჯები მომენტალურად აღიარდება ხარჯად. აუდიტორული პროცედურების საშუალებით ვერ შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები რამდენად სწორად აღიარებს კომპანია სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ თვითღირებულებას და შესაბამის შემოსავალს, ასევე ვერ დავრწმუნდით სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული თვითღირებულება და შესაბამისი შემოსავალი სწორად იყო თუ არა გამიჯნული დროში მის ფასს სტანდარტის 23-ე განყოფილების შესაბამისად. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აღნიშნული უზუსტობის ეფექტი 2021, 2020, 2019 და 2018 წელს სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებულ შემოსავალსა და შესაბამის თვითღირებულებაზე. ასევე შესაბამის მოთხოვნა/ვალდებულებებზე.

კომპანიას გაფორმებული აქვს სამშენებლო ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია გარანტიები წლების მიხედვით შესრულებული სამუშაოების ტიპების მიხედვით. მის ფასს სტანდარტის 21-ე განყოფილების მიხედვით კომპანიას გააჩნია კონსტრუქციული ვალდებულება აღიაროს პირობითი ვალდებულება, რასაც კომპანია არ ასრულებს და წარმოადგენს სტანდარტიდან გადახვევას.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 16-20 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. როგორც აღწერილია ზემოთ - „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“ - ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება შპს „ელ ჯორჯიას“ ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსათქმელად. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „ელ ჯორჯიას“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსების“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

27 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭლავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „ელ ჯორჯიას“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსების“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

27 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შპს „ელ ჯორჯია“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018, 2019, 2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020	2019	2018
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	5	34,592	20,305	18,171	12,880
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(21,170)	(12,412)	(13,380)	(12,341)
სხვა შემოსავალი		-	54	18	-
საერთო მოგება		13,422	7,947	4,809	539
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(3,468)	(2,991)	(3,581)	(3,022)
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)		(21)	(474)	2,511	20
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		9,933	4,482	3,739	(2,463)
ფინანსური შემოსავალი		300	49	64	2
ფინანსური ხარჯი		(32)	(52)	(35)	(218)
საკუროსო მოგება/(ზარალი)		22	61	4	(12)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		10,223	4,540	3,772	(2,691)
მოგების გადასახადი		(586)	(433)	(191)	(223)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		9,637	4,107	3,581	(2,914)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დimitრი კუმატაძე
დირექტორი



გიორგი ელოშვილი
მთავარი ბუღალტერი

(Signature)

შპს „ელ ჯორჯია“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018, 2019, 2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020	2019	2018
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	5	34,592	20,305	18,171	12,880
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(21,170)	(12,412)	(13,380)	(12,341)
სხვა შემოსავალი		-	54	18	-
საერთო მოგება		13,422	7,947	4,809	539
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(3,468)	(2,991)	(3,581)	(3,022)
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)		(21)	(474)	2,511	20
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		9,933	4,482	3,739	(2,463)
ფინანსური შემოსავალი		300	49	64	2
ფინანსური ხარჯი		(32)	(52)	(35)	(218)
საკურსო მოგება/(ზარალი)		22	61	4	(12)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		10,223	4,540	3,772	(2,691)
მოგების გადასახადი		(586)	(433)	(191)	(223)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		9,637	4,107	3,581	(2,914)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დიმიტრი კუპატაძე
დირექტორი

გიორგი ელოშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „ელ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018, 2019, 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები						
გრძელვადიანი აქტივები						
ძირითადი საშუალებები	8	2,342	1,702	1,279	962	925
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,342	1,702	1,279	962	925
მიმდინარე აქტივები						
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	5,008	5,509	2,600	2,868	1,145
საგადასახადო აქტივი	10	-	-	-	-	93
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	7,442	499	361	510	624
სულ მიმდინარე აქტივები		12,450	6,008	2,961	3,378	1,862
სულ აქტივები		14,792	7,710	4,240	4,340	2,787
კაპიტალი						
საწესდებო კაპიტალი	12	-	460	429	11	8
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	12	6,789	(17)	(1,431)	(3,926)	249
სულ კაპიტალი		6,789	443	(1,002)	(3,915)	257
მიმდინარე ვალდებულებები						
საგადასახადო ვალდებულებები	10	313	1,837	1,150	304	-
გადასახადელი დივიდენდი		525	358	-	-	-
მოკლევადიანი სესხები		3	-	95	228	238
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	7,162	5,072	3,997	7,723	2,292
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,003	7,267	5,242	8,255	2,530
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,792	7,710	4,240	4,340	2,787

შპს „ელ ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018, 2019, 2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018	8	249	257
საწესდებო კაპიტალის ზრდა	3	-	3
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,261)	(1,261)
წლის სრული ზარალი	-	(2,914)	(2,914)
31 დეკემბერი 2018	11	(3,926)	(3,915)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	418	-	418
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,086)	(1,086)
წლის სრული შემოსავალი	-	3,581	3,581
31 დეკემბერი 2019	429	(1,431)	(1,002)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	32	-	32
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,694)	(2,694)
წლის სრული შემოსავალი	-	4,107	4,107
31 დეკემბერი 2020	461	(18)	443
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(459)	-	(459)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,832)	(2,832)
წლის სრული შემოსავალი	-	9,637	9,637
31 დეკემბერი 2021	2	6,787	6,789

შპს „ელ ჯორჯია“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2018, 2019, 2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2021	2020	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:				
წლის მოგება/(ზარალი)	9,637	4,107	3,581	(2,914)
არაფულადი კორექტირებები:				
ცვეთა და ამორტიზაცია	306	233	181	157
ფინანსური ხარჯი	32	52	35	218
ფინანსური შემოსავალი	(300)	(49)	(64)	(2)
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	20	(53)	(17)	4
საკურსო (მოგება)/ზარალი	(22)	(61)	(4)	12
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებებამდე	9,673	4,229	3,712	(2,525)
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:				
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	502	(2,909)	268	(1,723)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	90	223	-	93
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:				
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	2,111	1,136	(3,722)	5,420
ცვლილებები გადასახდელ დივიდენდში	167	358	-	-
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(1,615)	465	845	305
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	10,928	3,502	1,103	1,570
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	10,928	3,502	1,103	1,570
საინვესტიციო აქტივობები				
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(1,328)	(886)	(520)	(215)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	363	283	39	16
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(965)	(603)	(481)	(199)
ფინანსური აქტივობები				
დაფარული სესხი	(29)	(147)	(168)	(229)
გადახდილი დივიდენდი	(2,832)	(2,694)	(1,085)	(1,261)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	(459)	31	418	3
მიღებული პროცენტი	300	49	64	2
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივობებში	(3,020)	(2,761)	(771)	(1,485)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულის ეკვივალენტების	6,943	138	(149)	(114)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	499	361	510	624
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	7,442	499	361	510

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ელ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2011 წლის 21 იანვარს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 406042036.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო-სარემონტო საქმიანობა. კომპანია მონაწილეობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ გამოცხადებულ სამშენებლო ტენდერებში, გამარჯვების შემთხვევაში, დამკვეთთან ფორმდება ხელშეკრულება, ტენდერში მოცემული სამუშაოს აღწერილობის და შეთავაზებული ფასების შესაბამისად. კომპანია ასევე წარმოადგენს ქვეკონტრაქტორს შედარებით დიდი მოცულობის პროექტებზე და უზრუნველყოფს მთელი შესასრულებელი სამუშაოებიდან გარკვეული ნაწილის შესრულებას.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ქიზიყის ქ., №13. კომპანიის სათავო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის ერთსა და იმავე მისამართზე.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის ერთადერთ დამფუძნებელს წარმოადგენდა ტარიელ გიორგაძე.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის. საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2018 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასსთან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2017 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021, 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 31 დეკემბრით დასრულებული მოცემული წლების სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად. აქამდე კომპანიას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ასევე, მოითხოვს, ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021, 2020, 2019, 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2018 წლის 1 იანვრისთვის	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება:** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები:** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების
	ვადა
მანქანა დანადგარები	10-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	5-10
სხვა	5-10

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების
	ვადა
საბუღალტრო პროგრამები	5-10 წელი
სხვა	5-10 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას. როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში დარიცხვის მეთოდით დაკლასიფიცირდება როგორც ფინანსური შემოსავალი.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღრიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღე-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღე-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღე-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირი ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე დამსაქმებელს და სახელმწიფოს დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2% თითოეულს. შედეგად, ხელფასის და მასთან გათანაბრებული სარგებლის 6% დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მხრიდან ირიცხება დასაქმებულის დაგროვებით ანგარიშზე, რომელსაც მართავს საპენსიო სააგენტო. კომპანიის მიერ ანაზღაურებული საპენსიო შენატანები აღიარებულია შესაბამის სახელფასო ხარჯთან ერთად დარიცხვის პრინციპით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. კომპანია ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის/მომსახურების დამკვეთისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის/მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება და იმ შემთხვევაში როდესაც, შედეგების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში შედეგების მეთოდის გამოყენებით.

იმ შემთხვევაში როდესაც სახელშეკრულებო თანხა წინასწარ არ არის განსაზღვრული, შემოსავალი აღიარდება დამოუკიდებელი ექსპერტის და ორივე მხარის მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების აქტის საფუძველზე, ბოლო აქტიდან წლის ბოლომდე პერიოდში ამონაგებად აღიარდება მხოლოდ ის ნაწილი რომელიც დაკავშირებულია იმ სახელშეკრულებო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია და შესაბამისი სახელშეკრულებო დანახარჯები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გაწევა.

კონტრაქტების გადახედვა ხდება რეგულარულად და იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება წამგებიანი კონტრაქტი ზარალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც მოხდა მისი გამოვლენა.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

	2021	2020	2019	2018
შემოსავალი ქვეკონტრაქტორული მომსახურებიდან	19,287	12,775	5,659	6,753
შემოსავალი ტენდერებიდან	15,305	7,530	12,512	6,126
სულ შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	34,592	20,305	18,171	12,879

	2021	2020	2019	2018
სულ აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	73,762	43,546	28,585	23,801
აღიარებული წინა პერიოდებში	(39,170)	(23,241)	(10,414)	(10,922)
წლის შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	34,592	20,305	18,171	12,879

წლის განმავლობაში აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები	(21,170)	(12,412)	(13,380)	(12,341)
საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული მოგება	13,422	7,893	4,791	538
სულ აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	73,762	43,546	28,585	23,801
შემცირება: მიღებული ფულადი გადახდებით	(75,916)	(43,109)	(29,982)	(28,656)
დღგ განაკვეთი	18%	18%	18%	18%
საკონტრაქტო მოთხოვნა	-	437	-	-
საკონტრაქტო ვალდებულება	2,154	-	1,397	4,855

6. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2021	2020	2019	2018
მიღებული მომსახურება	(12,176)	(4,008)	(7,414)	(11,472)
გამოყენებული მარაგები	(7,555)	(6,438)	(5,112)	(387)
ცვეთა	(1,196)	(204)	(163)	(137)
ხელფასები	(243)	(1,762)	(691)	(345)
სულ	(21,170)	(12,412)	(13,380)	(12,341)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2021	2020	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(1,611)	(2,103)	(2,164)	(1,079)
საგადასახადო ხარჯი	(408)	(13)	(889)	(1,196)
მივლინების ხარჯი	(305)	(426)	(178)	(5)
საგარანტიო ხარჯი	(277)	(249)	(100)	(425)
საექვო და უიმედო ვალების რეზერვის ზრდა	(268)	(6)	-	-
დაზღვევის ხარჯი	(102)	(5)	(153)	(100)
ექსპლუატაციის ხარჯები	(54)	(78)	(33)	(82)
სხვა	(443)	(111)	(64)	(135)
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	(3,468)	(2,991)	(3,581)	(3,022)

8. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ავტომობილები	მანქანა- დანადგარები	სპეც ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა და სხვა	სულ ძირითადი საშუალებები
1 იანვარი 2018	125	84	1,206	23	1,438
შემოსვლა	-	-	212	2	214
გასვლა/ჩამოწერა	(41)	-	-	-	(41)
31 დეკემბერი 2018	84	84	1,418	25	1,611
შემოსვლა	194	-	317	9	520
გასვლა/ჩამოწერა	(42)	-	-	-	(42)
31 დეკემბერი 2019	236	84	1,735	34	2,089
შემოსვლა	227	18	641	-	886
გასვლა/ჩამოწერა	(71)	-	(213)	-	(284)
31 დეკემბერი 2020	392	102	2,163	34	2,691
შემოსვლა	354	162	812	-	1,328
გასვლა/ჩამოწერა	(141)	-	(291)	(3)	(435)
31 დეკემბერი 2021	605	264	2,684	31	3,584

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2018	(45)	(26)	(435)	(8)	(514)
ცვეთის ხარჯი	(12)	(8)	(134)	(2)	(156)
გასვლა/ჩამოწერა	21	-	-	-	21
31 დეკემბერი 2018	(36)	(34)	(569)	(10)	(649)
ცვეთის ხარჯი	(16)	(8)	(154)	(3)	(181)
გასვლა/ჩამოწერა	20	-	-	-	20
31 დეკემბერი 2019	(32)	(42)	(723)	(13)	(810)
ცვეთის ხარჯი	(24)	(9)	(197)	(3)	(233)
გასვლა/ჩამოწერა	8	-	46	-	54
31 დეკემბერი 2020	(48)	(51)	(874)	(16)	(989)
ცვეთის ხარჯი	(60)	(19)	(224)	(3)	(306)
გასვლა/ჩამოწერა	15	-	34	3	52
31 დეკემბერი 2021	(93)	(70)	(1,064)	(16)	(1,243)

შპს „ელ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019, 2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

საბალანსო

ღირებულება

1 იანვარი 2018	80	58	771	15	924
31 დეკემბერი 2018	48	50	849	15	962
31 დეკემბერი 2019	204	42	1,012	21	1,279
31 დეკემბერი 2020	344	51	1,289	18	1,702
31 დეკემბერი 2021	512	194	1,620	15	2,341

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	3,232	3,329	837	1,658	-
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	2,154	1,422	1,406	1,303	1,309
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	1,021	1,921	567	758	239
დაკავშირებულ მხარეებზე გადახდილი ავანსები	80	37	741	-	-
სხვა მოთხოვნები	15	16	16	16	39
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გროსი	6,502	6,725	3,567	3,735	1,587
საექვო და უიმედო ვალების რეზერვი	(1,494)	(1,216)	(967)	(867)	(442)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტი	5,008	5,509	2,600	2,868	1,145

უიმედო და საექვო მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვის მოძრაობა:

	2021	2020	2019	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	(1,216)	(967)	(867)	(442)	-
უიმედო და საექვო ვალის რეზერვის ცვლილება	(278)	(249)	(100)	(425)	(442)
ნაშთი წლის ბოლოს	(1,494)	(1,216)	(967)	(867)	(442)

10. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
შეზღუდული ფული	5,877	-	-	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,264	462	360	125	624
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	298	-	-	-	-
ფული სალაროში	3	37	1	385	-
სულ	7,442	499	361	510	624

11. ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს 5,877 ლარის ოდენობის შეზღუდული ფული, რომელიც წარმოადგენს სატენდერო წინადადებაზე ნაკისრი ვალდებულების დასაკმაყოფილებლად საბანკო გარანტიის მიღების მიზნით ბანკის მიერ დაბლოკილ თანხებს. აღნიშნული შეზღუდვა მთლიანად მოიხსნება ხელშეკრულების პირობების შესრულებისას.

12. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს პარტნიორების შენატანებს და დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებას/(ზარალს).

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს.

საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში დივიდენდის გამოცხადება ხდებოდა პერიოდულად.

საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ტარიელ გიორგაძე.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მიღებული ავანსები დაკავშირებული მხარისგან	5,095	1,618	152	-	-
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,830	993	719	2,781	776
გადასახდელი ხელფასები	237	139	54	-	-
სხვა მიღებული ავანსები	-	2,322	3,072	4,942	1,516
ჯამი	7,162	5,072	3,997	7,723	2,292

14. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

შპს „ელ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019, 2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

კავშირის სახე		31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნა დაკავშირებული მხარის მიმართ	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	3,306	3,163	958	1,446	23
სავაჭრო ვალდებულება დაკავშირებული მხარის მიმართ	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	5,095	1,618	152	-	-

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კავშირის სახე		2021	2020	2019	2018
რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	19,111	12,663	2,969	2,785
შეძენა დაკავშირებული მხარისგან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	268	2,252	6,960	464

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2021	2020	2019	2018
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	2,511	953	402	345

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

შპს „ელ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ელ ჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია დიმიტრი კუპატაძე, დირექტორს ნიშნავს პარტნიორთა კრება.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას სამშენებლო საქმიანობა (მ.შ. ახალი მშენებლობა (მ.შ. მონტაჟი); რეკონსტრუქცია; რემონტი-შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვა; დემონტაჟი; დროებითი შენობა-ნაგებობების მონტაჟი/განთავსება) წარმოადგენს. აღნიშნული საქმიანობა კომპანიის შემოსავლის გენერირების მთავარი წყაროა.

კომპანია მონაწილეობს სამშენებლო ტენდერებში, საიდანაც იღებს შეკვეთებს.

კომპანიის შემოსავლებმა 2021 წელს შეადგინა - 34,592 ლარი, 2020 წელს - 20,305 ლარი, რაც შემოსავლების ტიპების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:


	2021	2020
შემოსავალი ქვეკონტრაქტორული მომსახურებიდან	19,287	12,775
შემოსავალი ტენდერებიდან	15,305	7,530
სულ შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	34,592	20,305

შპს „ელ ჯორჯია“ ინვესტიციებს სხვა კომპანიებში არ ფლობს.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**ფინანსური მაჩვენებლები**

2021 წლის მდგომარეობით კომპანიის შემოსავალი 34,592 ლარია, რაც 2020 წლის ანალოგიურ მონაცემს 70%-ით აჭარბებს. შემოსავლის მატება ძირითადად მოგებული ტენდერების გაზრდილი რაოდენობით იყო განპირობებული.

კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



შპს „ელ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ძირითადი კოეფიციენტები:

	2021	2020
სულ შემოსავალი	34,592	20,305
სულ აქტივები	14,792	7,710
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	171	211
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Current Ratio)	1.56	0.83
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	1.56	0.83
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	123.47	149.16
დებიტორების ბრუნვა (დღე)	52.84	99.02
მარაგების ბრუნვა (დღე)	0.00	0.00
უკუგება კაპიტალზე	1.51	10.25

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ელ ჯორჯიას“ თანამშრომელთა რაოდენობა წლის განმავლობაში 150-დან 300-მდე მერყეობდა. შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება-დასაქმების მიზნით, კომპანიას აქვს შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა.

კომპანიის მენეჯმენტი ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობით უდგება არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტებისა და პროცედურების დაცვა.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

კომპანია გეგმავს სამშენებლო სფეროში არსებული ახალი ტექნოლოგიების დანერგვას საოპერაციო საქმიანობაში.

საწარმოო სიმძლავრეების განვითარება

კომპანია გეგმავს ახალი დანადგარების შეძენას საოპერაციო საქმიანობის ოპტიმიზაციისათვის.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2021	2020	გადახრის ახსნა
ძირითადი საშუალებები	2,342	1,702	შენიშვნა 1
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	34,592	20,305	შენიშვნა 2

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები (გაგრძელება)**შენიშვნა #1:**

ძირითადი საშუალებების ზრდა 2021 წლის განმავლობაში გამოწვეულია პროექტების მოცულობისა და რაოდენობის ზრდით რის შესაბამისადაც გაიზარდა მანქანა-დანადგარების რაოდენობა.

შენიშვნა #2:

2021 წლის განმავლობაში გაიზარდა კომპანიის პროექტების რაოდენობა და აღნიშნული პროექტებიდან მიღებული შემოსავალი.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2021	2020
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3 688.6	3 728.6
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	18.7	15.8
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ერთეული აშშ დოლარი	5 015.3	4 255.7
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.4%	(6.8%)
საშუალო წლიური ინფლაცია	9.60%	5.20%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1 241.8	589.8
უმუშევრობის დონე, %	20.6	18.5

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში მრეწველობის დარგებში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიქმნას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

აბორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული

ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 27 სექტემბერს:




გიორგი ელოშვილი
მთავარი ბუღალტერი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული

ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთის მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 27 სექტემბერს:

დიმიტრი კუპატაძე
დირექტორი

გიორგი ელოშვილი
მთავარი ბუღალტერი